საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N3

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

15 თებერვალი 2022წ

**სხდომას უძღვებოდა:** იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე, 7. ნატალია ასათიანი.
**სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე, დავით ცხადაძე;**

**სხდომას ასევე ესწრებოდა:** საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

**კომისიის სიითი შემადგენლობა:** 9 წევრი.
**კვორუმი:** 5 წევრი.
**დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა:** 7 წევრი.

*კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'*

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;**

*დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.*

*კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

**1.მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. გენდერული საბჭო იქმნება საკრებულოს მე-5 მოწვევის უფლებამოსილების ვადით.

**აზრი გამოთქვეს:** ომარი ჯიხვაშვილმა, ნინო ჩხიკვაძემ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 7, წინააღმდეგი 0;

**გადაწყვიტეს:**
საკრებულოს განკარგულების პროექტი გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დამტკიცების მიზნით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე:

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ,,გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ე) ქვეპუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივლისის №46/46 განკარგულების საფუძველზე საკრებულომ **გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** შეიქმნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, მე-V მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა:

1) გიორგი ბარათაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;

2) ნინო ჩხიკვაძე- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. დავით გოგბერაშვილი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

4) ბიძინა ბუცხრიკიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

5) გრიგოლ გიორგაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. საბჭოს წევრი;

6) ბადრი ბუცხრიკიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

7) თემურ ქოჩიაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

8) შალვა ჭანკვეტაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

9) გოჩა ვერულაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

10) რუსუდან კოვზირიძე- ფრაქცია „ევროპული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრი;

11) კახა ბუცხრიკიძე -ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობას" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი

12) ელისო მურადაშვილი - საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;

13) იზა მაგრაქველიძე - საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;

14) თამარ ახვლედიანი- საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;

15) ნინო - საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;

16) ნატალია ასათიანი - საკრებულოს წევრი, საბჭოს წევრი;

17) დიანა ფოცხვერაშვილი-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

18) ნინო დოლაკიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალსტი გენდერულ საკითხებში; საბჭოს მდივანი

19) ნინო ოქრუაძე - ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი-„ბავშვები საქართველოს მომავალი"- დირექტორი, საბჭოსწევრი;
10) მაია თორთლაძე - ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის" დირექტორი, საბჭოს წევრი;

21) ქეთევან შეყრილაძე - თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

22) ალექსანდრე ზანკალიანი - სსიპ ,,სოციალური მომსახურეობის სააგენტოს" თერჯოლის რაიონული განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი.

**მუხლი 3.** დაევალოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია.

**მუხლი 4.** განკარგულება დაეგზავნოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.